

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი

ქართველოლოგი

29



საგამომცემლო ინფორმაცია

ქართველოლოგია ფართო გაგებით ნიშნავს ქართული კულტურის, ისტორიისა და ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული ჰუმანიტარული სფეროს სხვა დარგის შესწავლას. ესენია: ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ხელოვნება, არქეოლოგია, ფოლკლორი, ეთნოგრაფია, წყაროთმცოდნეობა და სხვ.

ჟურნალი „ქართველოლოგი“ ორენოვანი (ქართული და ინგლისური), პროფესიული და აკადემიური ჟურნალია. ქართველოლოგიის დარგში მეცნიერული სიახლეების დანერგვასთან ერთად იგი მიზნად ისახავს ქართველ მკვლევართა ნარკვევების პოპულარიზაციას საერთაშორისო დონეზე და საზღვარგარეთული ქართველოლოგიური მეცნიერების გავრცელებას ქართულ სამეცნიერო წრეებში.

„ქართველოლოგი“ წელიწადში ერთხელ გამოდის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. 1993-2009 წლებში იგი მხოლოდ ბეჭდურად გამოდიოდა (N1-15). გამომცემელია „ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი“ (თსუ), ფინანსური მხარდამჭერი – „ქართველოლოგიური სკოლის ფონდი“. ჟურნალის დამაარსებელია ელგუჯა ხინთიბიძე.

სარედაქციო კოლეგია:

ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილი უცხოელი ავტორები თავიანთ ქართველ კოლეგებთან ერთად არიან „ქართველოლოგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრები, აქტიური მონაწილენი ჟურნალის სამეცნიერო სტილისა და ფორმის ჩამოყალიბებაში, სამეცნიერო სტატიების ავტორები, ზოგიერთ შემთხვევაში გამოსაქვეყნებელი სტატიების რეცენზენტები და თავიანთ ქვეყნებსა და სამეცნიერო ცენტრებში ქართველოლოგიის პრობლემატიკის პოპულარიზატორები.

ბახტაძე მიხეილ (ისტორია) – საქართველო; ბეინენი ბერტ (რუსთველოლოგია) – აშშ; ბოედერი ვინფრიდ (ენათმეცნიერება) – გერმანია; დობორჯგინიძე ნინო (ენათმეცნიერება) – საქართველო; ენოხი რუვენ (ქართული ენა, ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობები) – ისრაელი; კოჯიმა იასუჰირო (ქართველური ენები) – იაპონია; კუდავა ბუბა (ხელნაწერთმცოდნეობა) – საქართველო; ლიჩელი ვახტანგ (არქეოლოგია) – საქართველო; მაგაროტო ლუიჯი (ქართული ლიტერატურა) – იტალია; მელიქიშვილი დამანა (ქართული ენა) – საქართველო; ნიკოლეიშვილი ავთანდილ (ქართული ლიტერატურა) – საქართველო; რატიანი ირმა (ლიტერატურათმცოდნეობა) – საქართველო; სიხარულიძე ქეთევან (ფოლკლორი) – საქართველო; ტიუიტი კევინ (ეთნოგრაფია და ფოლკლორი) – კანადა; უტიე ბერნარ (შუა საუკუნეების კვლევები) – საფრანგეთი; ფეინრიხი ჰაინც (ქართული ენათმეცნიერება) – გერმანია; შურაია გაგა (ქართული ლიტერატურა) – იტალია; ჩიხლაძე ნინო (ქართული ხელოვნების ისტორია) – საქართველო; ხოტივარი-იუნგერი შტეფი (ქართული ლიტერატურა) – გერმანია.

სამეცნიერო რედაქტორი: ელგუჯა ხინთიბიძე

ჟურნალის თითოეული ნომრის მომზადებას და გამოქვეყნებას ახორციელებს ჟურნალის სარედაქციო ჯგუფი:

მანანა რუსიშვილი – ინგლისური ტექსტის რედ.
თამარ მელიქიძე – ტექსტის რედ.
სოფიო გულიაშვილი – ქართული ტექსტის რედ.

ცირა ვარდოსანიძე – კორექტორი
კონსტანტინე ლომიძე – კორექტორი
ირმა მაკარაძე – ქართული ტექსტის რედ.

ჟურნალის სარედაქციო საბჭო, საგამომცემლო ჯგუფი და რეცენზენტები ზოგიერთ შემთხვევაში არ იზიარებენ გამოქვეყნებული სტატიების სტილისტურ თავისებურებებს და მათში გამოთქმულ თვალსაზრისებს.

© ქართველოლოგი
ქართველოლოგიური სკოლის ფონდი
13, ჭავჭავაძის გამზირი, თსუ
0179, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: kartvcentre@hotmail.com;
kartvelologist@gmail.com
ვებგვერდი: kartvelologi.tsu.ge;
kartvelologi.openjournal.ge

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023
ISSN 1512-1186

კვლევები: ენათმეცნიერება

**ქართული კერა - ივრითული *kir* // *kira*;
ქართული ქურა - ივრითული *kur* - აქადური *quru***

კონსტანტინე ლერნერი

იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ქართული სიტყვების - *კერა*, *ქურა* - სემიტური ძირიდან წარმოშობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: *ივრითული ენა*; *ქართული ენა*; *კერა*; *ქურა*

კერა

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში *კერა* განმარტებულია შემდეგნაირად: „*კერა* - ის ადგილია მიწის იატაკისა, სადაც ცეცხლს ანთებენ“ [1, IV]. თანამედროვე ივრითში მას აშკარად შეესაბამება *kir* ან *kira* რა, რომელიც მხოლოდით რიცხვში „კერძის მოსახარშად პატარა ღუმელს“ აღნიშნავს, ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში კი უბრალოდ „ელექტრო ქურას“ (*kira hash-malit*) გულისხმობს [2, II].

ძველი აღთქმის წიგნებში გვხვდება ამ ძირის ფონეტიკური ვარიანტები - *kir* // *kira* // *kura*, მნიშვნელობა კი არსებითად იგივე რჩება - „გადასატანი ღუმელი კერძის მოსახარშად“. ასეთი *კერა* ჩვეულებრივად ორი ქოთანისათვის (ან ორი ქვაბისათვის?) იყო გამიზნული - ორუჯრედიანი იყო და ამიტომ, როგორც წესი, ორობითის ფორმაში იხმარებოდა - *kiraim* რა. ალბათ, ამიტომ თანამედროვე ივრითში ამ სიტყვით ოთხუჯრედიან გაზის ქურას აღნიშნა-

ვენ. გენეტიკურად ეს ივრითული ძირი აქადურ *kuru*-ს (იგივე *ქურა*) ან სულაც შუმერულ *gir*-ს უკავშირდება [3, II].

ძველი აღთქმის ქართულ თარგმანში სიტყვა *კერა* მხოლოდ ერთხელ გვხვდება - იერემიას წიგნში, რომელიც, როგორც ცნობილია, ბიბლიურ წიგნთა შორის უძველეს თარგმანად მიიჩნევა. ქართულში ეს სიტყვა გამოყენებულია ისეთ კონტექსტში, სადაც დედანში სულ სხვა ლექსიკური ერთეული მოგვეპოვება, რომელიც ზოგადად „საცეცხლურს, საყუმილეს“ ნიშნავს: „და მეფე ჯდა სახლსა შინა საზამთროსა, თუესა მეცხრესა, და *კერ-აკნი* ცეცხლისანი პირისა მისსა“ (იერემია 36, 22). დედანში, როგორც ითქვა, სულ სხვა ფუძეა ნახმარი, ისიც - მხოლობითის ფორმაში. ქართველი მთარგმნელი კი სემიტური ორობითის ბაღლად მრავლობითის ფორმას ირჩევს - ფაქტიურად მისთვის ნაცნობი (?) სიტყვის - *კერა // კირა*-ს ძველალთქმისეულ ნორმას იცავს. სულხან-საბა ორბელიანი ამ სიტყვას მრავლობითის ფორმით გვთავაზობს და ისევ იერემიას ამ ერთადერთ წინადადებას მიუთითებს: „*კერაკნი* - საცეცხლე“ (4,1).

ქურა

ქართულში *ქურა* ამოსავლად სპეციალური მეტალურგიული დანიშნულების ხელსაწყოა: „საბერვლიანი სამჭედლო *კერა* ლითონის გასახურებელ-გასალხობელი“ [1, VII]. *კერასა*-გან განსხვავებით ეს სიტყვა ძველი აღთქმის წიგნებში ხშირად გვხვდება *kur // kura* ფორმაში (*רוח/קרוח*) და ზუსტად იმავე მნიშვნელობით, რომელიც ქართულ ლექსიკონშია ასახული: „ლიტონის გასალხობელი *კერა*“ [3, II]. მაგრამ ამ დედნისეულ *kur*-ს ქართულ თარგმანში არც ერთხელ არ შეესაბამება *ქურა*: „და გამოგიყვანნა თქვენ *საყუმილ-ისა* მისგან *რკინისაისა* ქუეყანასა მისგან ეგვიპტელთაისა“ (2 სჯ. 4,20). დედანში ამ შემთხვევაში გვაქვს *kur habarzel* („რკინის *კერა*“). ან კიდევ: „...რომელმან გამოიყვანნეს... ბრძემლისა მისგან *რკინისაგან* მადნობელისა“ (III მეფეთა 8,51). დედანში ისევ გვაქვს *kur habarzel*; შდრ. ბრძემლი - „ქურა, სადნობელი“ (ი. აბულაძე). ე. ი. ქართველ მთარგმნელს ივრითული *kur*-ასათვის აქვს საკუთრივ ქართული ეკვივალენტი და „ქართული“ *კერა // ქურა* არ გაიაზრება როგორც ბიბლიური ლექსიკური ერთეულის შესაძლო თარგმანი. ასევე იქცევა *იერემიას წიგნის* მთარგმნელი. ერთ კონტექსტში ის ქართულ ეკვივალენტს მიმართავს: „...რომელსა აღმოვიყვანენ... *საყუმილისაგან* რკინისა“ (იერემია 11,4. დედანში იგივე *kur* გვაქვს); მეორე შემთხვევაში კი ქართულ *კერა*-ს მოიხმობს, თუმცა დედანში ისევე, როგორც სხვა ანალოგიურ შემთხვევაში, სულ სხვა ძირია გამოყე-

ნებული. ძველი ალთქმის წიგნების ქართული თარგმანი აშკარად გვიკარნახებს, რომ ზემოთ განხილული ძირი ქართულში ბიბლიურ წიგნთა თარგმანიდან შესული არ უნდა იყოს. უფრო მეტიც, ამ წიგნთა თარგმანის დროისათვის ის უკვე ცნობილი უნდა ყოფილიყო ქართულში და იერემიას მთარგმნელმა იცოდა სიტყვა *კერა*. მეორე მხრით, განხილული ქართული ლექსიკური ერთეულების უშუალოდ შუემრულიდან მომდინარეობა თითქმის გამორიცხულია, რადგანაც შუემრულში ამ ძირის საყრდენი თანხმოვანი მჟღერია – *gir*, მაშინ როდესაც ქართულში ორივე შემთხვევაში ყრუ ფონემა მოგვევლინება – *კერა* და *ქურა*. აქადურთან დაკავშირება კი სავსებით შესაძლებელია: ქართული *ქურა* ფონეტიკურად და სემანტიკურად აბსოლუტურად იგივეა, რაც აქადური *kuru*. სხვანაირად რომ ვთქვათ, დღევანდელ ქართულში მოგვეპოვება სულ ცოტა სამი ათასი წლის ისტორიის მქონე ლექსიკური ერთეული. ამავე დროს ქართულში ეს ორი სხვადასხვა (თუმცა სემანტიკურად მსგავსი) სიტყვაა: *კერა* და *ქურა*. სემიტურ წყარო-ენაში კი (ივრითსა თუ აქადურში) ეს ერთიდაიგივე ძირია განსხვავებული გახმოვანებით: *kir* // *kur*. ამ შემთხვევაში ვლინდება უძველესი კულტურულ-ენობრივი (შეიძლება ითქვას – ცივილიზაციური) კონტაქტების გარკვეული კანონზომიერება: წყარო-ენის ძირის საყრდენი თანხმოვნის (ჩვენ შემთხვევაში – სემიტური *כ* - ასპირირებული *kav* ფონემის) წარმოების ადგილი სესხებისას უცვლელი რჩება, მაშინ როდესაც წარმოების რაობა ცვალებადია. შესაბამისად ქართულში ხან მკვეთრს (*კერა*), ხან ფშვინვიერს (*ქურა*) ვიღებთ.¹

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სემიტური ძირი ორჯერ მაინც სხვადასხვა დროს და, იქნებ, სხვადასხვა ეთნო-დიალექტური კოლექტივის მიერ იყო ნასესხები.

¹ ამგვარი კანონზომიერება სემიტური ენებიდან ნასესხებ სიტყვებში სხვა შემთხვევაშიც იჩენს თავს: აქადურ // ივრითული გლოტალური *კ რ* - *კ ი რ* (כ י ר) ქართულში ერთ შემთხვევაში გვაძლევს მკვეთრს: *კ ი რ ი* (კირქვა); მეორე შემთხვევაში კი ვიღებთ ფშვინვიერს: იგივე *kir* ივრითსა და არამეულში ნიშნავს „კედელ“-ს და აქედან „გალავნით შემოღობილი დასახლება“ – *k a r t a*; შდრ, ქართ. ქ ა რ თ ლ ი (დაწვრ. იხ. 5: 33-46).

ბიბლიოგრაფია

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. IV და VII, არნოლდ ჩიქობავას რედაქციით, თბილისი 1955 და 1962.
2. Alkalay, R., *The Complete Hebrew Dictionary*, vol. II, Ramat Gan, Israel 1991.
3. Koehler, L., Baumgartner, W., *The Hebrew and Aramaic Lexicon of The Old Testament*, Leiden- New York- Koln, Brill 1955.
4. ორბელიანი, ს.-ს., *ლექსიკონი ქართული*. II, Tbilisi 1992.
5. ლერნერი, კ., *ქართლი-ქალაქი და მისი ღვთაებები: „მაცნე“ 1*, თბილისი 2017: 33-46.